

14. კონკურსანტს საპრეტენზიო კომისიისადმი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N 144) მიმართვის უფლება აქვს კონკურსის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გაგზავნიდან (ელექტრონული ფოსტით გაგზავნა) არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

მუხლი 16. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსანტს უფლება აქვს, კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში (მისი არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ -სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში.

2. კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული დავა, დაწესებულებაში საპრეტენზიო კომისიის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გადაწყდეს ადმინისტრაციული წესით, უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით.